საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**განკარგულება**

განკარგულება:**g-69. 69250135**
თარიღი:**13/01/2025**

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N 69. 692133725 განკარგულებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N 69. 692133725 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ და განკარგულების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

**„მუხლი 2.** საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ბესიკი კვირიკაშვილს თანამდებობრივ სარგოდ განესაზღვროს 3212 ლარი.“

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1-ელი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი